

## გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1781 (2007)

2007 წლის 15 ოქტომბერი.

უშიშროების საბჭო, ეყრდნობა რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, 2007 წლის 13 აპრილის (S/RES/1752), რეზოლუციის ჩათვლით,

მიესალმება რა გაეროს გენერალური მდივნის 2007 წლის 18 ივლისისა (S/2007/439) და 2007 წლის 4 ოქტომბრის (S/2007/588) მოხსენებებს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შესახებ,

სერიოზული შეშფოთებით აღნიშნავს რა ახლახან იარაღის გამოყენებით მომხდარ ინციდენტებს, რომლებმაც გაართულა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი საქართველოში, გამოხატავს წუხილს, განსაკუთრებით ადამიანების დალუპვასთან დაკავშირებით, და კვლავ ადასტურებს ძალთა დაშორიშორებისშენარჩუნებისა და ცეცხლის შეწყვეტის დაცვის მნიშვნელობას;

მხარს უჭერს რა გაეროს გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის დახმარებით, აგრეთვე რუსეთის, მისი, როგორც ხელშემწყობი მხარისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეულ განუწყვეტელ ძალისხმევას, ხაზს უსვამს ყენევის ფორმატით შეხვედრების, როგორც კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის ფორუმის მნიშვნელობის გაძლიერებას,

ხაზს უსვამს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიასა და დსთ მშვიდობისმყოფელ ძალთა შორის მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომლებიც ამჟამად ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ზონის სტაბილიზაციაში და შეახსენებს, რომ კონფლიქტის მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის საჭიროა უსაფრთხოების სათანადო გარანტიები;

ხაზს უსვამს რა, რომ აუცილებელია სასწრაფო წესით უზრუნველყოფილ იქნეს აფხაზეთის, საქართველო, ეკონომიკური განვითარება იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კონფლიქტით დაზიანებული თემების, განსაკუთრებით ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების ცხოვრება,

გამოხატავს რა წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ ორ მხარეს შორის უწინდებურად არ არის ნდობა, და ხაზს უსვამს კეთილი ნებისა და ერთმანეთის წუხილის პატივისცემის კონსტრუქციული გამოვლენის მნიშვნელობას,

1. კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ყველა ძალისხმევას, რომლებიც

ეფუძნება მათ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში;

2. კვლავაც ადასტურებს თავის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიისადმი, მოუწოდებს მხარეებს სრული მოცულობით ითანამშრომლონ მისიასთან, საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს მისიის სადამკვირვებლო შესაძლებლობები, როგორც ეს რეკომენდებულია “2007 წლის 11 მარტის ინციდენტის, კოდორის ხეობის ზემო ნაწილის რაკეტით დაცხრილვის ფაქტების დამდგენი ერთობლივი ჯგუფის მოხსენებაში”, აგრეთვე გენერალური მდივნის 2007 წლის 4 ოქტომბრის S/2007/588 მოხსენებაში და სთხოვს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს ამ რეკომენდაციების განხორციელების ვარიანტების შესწავლა და საბჭოს ინფორმირება მუშაობის მიმდინარეობის შესახებ;

3. მოუწოდებს ქართულ მხარეს უზრუნველყოს, რომ მდგომარეობა კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შეესაბამებოდეს “ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ” 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების დებულებებს და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს გამოავლინოს თავშეკავებულობა კოდორის ხეობის მიმართ საქართველოს ვალდებულებებთან დაკავშირებით;

4. გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების რეჟიმის მრავალრიცხოვანი დარღვევის გამო;

5. გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას კონფლიქტის ზონასა და მის საზღვრებს გარეთ მომხდარი ინციდენტების გამო, რომლებიც აღნიშნა საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიამ და ასახულია გენერალური მდივნის 2007 წლის 18 ივლისისა და 4 ოქტომბრის მოხსენებებში, 2007 წლის 11 მარტსა და 2007 წლის 20 სექტემბერს მომხდარის ჩათვლით;

6. დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა მხარეს გაითვალისწინონ და სერიოზულად მოეკიდონ თითოეული მათგანის დასაბუთებულ შეშფოთებას უსაფრთხოების გამო, თავი შეიკავონ ძალადობის ან პროვოკაციის ნებისმიერი აქტისაგან, პოლიტიკური მოქმედების ან რიტორიკული განცხადებების ჩათვლით, და ზუსტად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტისა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ ადრე მიღწეული შეთანხმებები;

7. მოუწოდებს ორივე მხარეს გადაუდებლად დაასრულონ მუშაობა დოკუმენტზე ძალადობი გამოუყენებლობის შესახებ; და მოუწოდებს ორივე მხარეს გადაუდებლად დაასრულონ მუშაობა დოკუმენტზე ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ;

8. დაბეჯითებით მოუწოდებს გაგრძელდეს ორივე მხარის აქტიური მონაწილეობა ფაქტების დამდგენი ერთობლივი ჯგუფის მუშაობაში და ამასთან დაკავშირებით აცხადებს თავის მხარდაჭერას “2007 წლის 11 მარტის ინციდენტის, კოდორის ხეობის ზემო ნაწილის რაკეტით დაცხრილვის ფაქტების დამდგენი ერთობლივი ჯგუფის მოხსენებისადმი” და იწონებს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის მიერ ამ მოხსენებაში გადმოცემულ რეკომენდაციებს;

9. მიესალმება დაპირებას, განახლდეს რეგულარული კონსულტაციები ოთხმხრივი თათბირის ფარგლებში, რაც ორივე მხარემ დადო 2007 წლის 27 და 28 ივნისს ზონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირზე, და დაჟინებით მოუწოდებს ორივე მხარეს ბოლოსდაბოლოს შეასრულონ ეს დაპირება;

10. მოუწოდებს მხარეებს კიდევ უფრო გააფართოონ თავიანთი ორმხრივი კონტაქტები, სრულად გამოიყენონ ყველა არსებული მექანიზმი, როგორც მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის რეზოლუციებში, მშვიდობიან მოწესრიგებამდე მისასვლელად, ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ღირსეულ პირობებში და უსაფრთხო დაბრუნების ჩათვლით;

11. კვლავ აცხადებს თავის მხარდაჭერას გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისადმი, რომლებიც მოწონებულია 2007 წლის 13 აპრილის 1752 რეზოლუციაში, და დარწმუნებულია, რომ ის ხელს შეუწყობს გაყოფილი ქვეყნის თემებს შორის უფრო ფართო და მიუკერძოებელი კონტაქტების განვითარებას, დაბეჯითებით მოუწოდებს ქართულ და აფხაზურ მხარეებს რაიმე წინასწარი პირობის გარეშე განახორციელონ ეს ღონისძიებები;

12. შეახსენებს \_ მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიზნით \_ თავის მხარდაჭერას პრინციპებისადმი, რომელსაც შეიცავს დოკუმენტი სათაურით “თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები” და მიესალმება დამატებით იდეებს, რომელთა წამოყენებასაც მხარეები ისურვებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შემოქმედებითი და კონსტრუქციული დიალოგის გამართვის მიზნით;

13. მიესალმება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის პოლიციის პერსონალის განლაგებას გალში და თანამშრომლობას აფხაზურ მხარესთან და მოუწოდებს ამ თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისაკენ;

14. კვლავ განსაკუთრებით აღნიშნავს დაჟინებულ საჭიროებას შემსუბუქდეს ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობა და აუცილებლობას უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანების ცხოვრება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, კერძოდ, აფხაზეთის, საქართველო, ფარგლებს გარეთ მყოფი ახალი თაობისა;

15. კვლავ აღნიშნავს და ადასტურებს ფუძემდებლურ მნიშვნელობას ყველა ლტოლვილისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის უფლებისა დაბრუნდეს აფხაზეთში, საქართველო, კვლავ ადასტურებს, რომ მათ თავიანთ სახლებში დაბრუნებას და ქონებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ინდივიდუალურ ქონებრივ უფლებაზე გავლენა არ აქვს კონფლიქტის დროს მესაკუთრეთა იძულებითი გაქცევის ფაქტს და რომ პატივცემული იქნება ამ მესაკუთრეთა ცხოვრებისა და თვითმყოფადობის უფლება, და მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს სტრატეგიული მითითებები მათ დაბრუნებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გალის რაიონში;

16. მიესალმება ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ახლანდელ კონტაქტებს, რეკომენდაციას აძლევს და მოუწოდებს ორივე მხარეს უპირობოდ შეუწყონ ხელი მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა აქტიურ მონაწილეობას ასეთ კონტაქტებში;

17. ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის, დსთ მშვიდობისმყოფელი ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის მთელ კონფლიქტის ზონაში და მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ თავისი ვალდებულებები ამასთან დაკავშირებით და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიასა და დსთ მშვიდობისმყოფელ ძალებს;

18. მიესალმება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ძალისხმევას სექსუალური ექსპლუატაციისა და შებღალვის მიმართ გენერალური მდივნის მიერ გამოცხადებული “ნულოვანი შემწყნარებლობის” პოლიტიკის განხორციელებისათვის და მისი პერსონალის მიერ გაეროს ქცევის კოდექსის ყოველმხრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის, სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს ამასთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი ზომის მიღება და ინფორმაცია მიაწოდოს უშიშროების საბჭოს და დაბეჯითებით მოუწოდებს ჯარების გამომგზავნ ქვეყნებს, განლაგების წინა ეტაპზე მომზადების ორგანიზაციის ჩათვლით, მიიღონ სათანადო პრევენციული ზომები ამ პრობლემაზე ინფორმირებულობის ამაღლებისათვის, აგრეთვე ასეთი ქცევის შემთხვევაში დისციპლინური და სხვა ზომები პერსონალის მიმართ მთელი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის;

19. ადგენს გაგრძელდეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისათვის, რომელიც დასრულდება 2008 წლის 15 აპრილს;

20. სთხოვს გენერალურ მდივანს გამოიყენოს ეს მანდატი იმისათვის, რომ მხარეებს აღმოუჩინოს მხარდაჭერა ნდობის განმტკიცების განხორციელებაში და აქტიური და კონსტრუქციული დიალოგის გამართვაში იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგება, უმაღლეს დონეზე შეხვედრის გამართვაში ხელშეწყობის ჩათვლით და ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს ამასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შესახებ აფხაზეთში, საქართველო, არსებული მდგომარეობის შესახებ თავის შემდგომ მოხსენებაში;

21. გადაჭრით უჭერს მხარს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას და მოუწოდებს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს გააგრძელოს თავის შეუწელებელი და ერთიანი მხარდაჭერა;

22. ადგენს გაგრძელდეს აქტიური მუშაობა ამ საკითხზე.

[www.un.org/docs](http://www.un.org/docs) საკუთარი თარგმანი